თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3858683

ნომერი: AR1576343

თარიღი : 09.02.2018

გაცემის თარიღი : 12.03.2018

გაცნობის თარიღი : 12.03.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ნოდარ ბოხუას ქუჩა N4 ; ; ქალაქი თბილისი , ნოდარ ბოხუას ქუჩა N2 ; ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მერაბ შაყულაშვილი პ/ნ 01024036956
- თბილისი პეკინის გამზ. N 37 ბ. 16

ორგანიზაცია:

- ელექტრონული ტექნოლოგიები კოდი: 202051215

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობა
  ახალი მშენებლობა
- დროებითი დანადგარი
  ახალი მშენებლობა

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ –ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი – დიდუბე, ნოდარ ბოხუას ქუჩა N2 და ნოდარ ბოხუას ქუჩა N4-ში, თანასაკუთრების მიწის ნაკვეთებზე (ს.კ01.13.02.004.086, ს.კ 01.13.02.004.087) დროებითი (საძირკვლის არ მქონე) შენობა-ნაგებობის, ზღუდარებისა და დოებითი დანადგარების (შლაგბაუმების) მოწყობას.

პასუხად გაცნობებთ, რომ ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად თქვენს მიერ განსახოციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს, რომლის განთავსება არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური.

,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (საკადასტრო კოდი N 01.13.02.004.086, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 892018143696 20/02/2018 წ., საკადასტრო კოდი N 01.13.02.004.087, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 892018143749 20/02/2018 წ. ასევე წარმოდგენილი არსებული სიტუაციის ფოტომასალა და ფოტომონტაჟი) ქალაქმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი - დიდუბე, ნოდარ ბოხუას ქუჩა N2 და ნოდარ ბოხუას ქუჩა N4-ში, თანასაკუთრების მიწის ნაკვეთებზე (ს.კ01.13.02.004.086, ს.კ 01.13.02.004.087) დროებითი (საძირკვლის არ მქონე) შენობა-ნაგებობის, ზღუდარებისა და დოებითი დანადგარების (შლაგბაუმების) მოწყობის შესაძლებლობას.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.